ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

8 აპრილიდან

იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




პარასკევი, 8 აპრილი, 2016 №83 (7009) ფასი: 50 თეთრი

# „ქართული ოცნება“ დავით უსუფაშვილის გადაბირებას აპირებს?



გვ.2

## ომარ ნიშნიანიძე: „არჩევნებზე ბევრგან მეორე ტური გაიმართება“






## ნანა დევდარიანი: „ალასანიასა და რესპუბლიკელებს არჩევნებზე გაუჭირდებათ“



გვ.3

„არჩევნების თარიღთან დაკავშირებული პრეტენზიები გაუგებარია“





## მამუკა კაციტაძე: „პრეზიდენტს არჩევნების თარიღზე კონსულტაცია ჩვენთანაც უნდა გაემართა“



გვ.4

ოქტომბრის დასაწყისი არჩევნების ჩასატარებლად მთლად საუკეთესო პერიოდი არ არის

## აფხაზეთში ყარაბაღის სცენარის გამეორებას ვარაუდობენ



გვ.4



გვ.2

## გიორგი მარგველაშვილი: „მინდა, პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლონ და საარჩევნო კამპანია ადრე დაგეგმონ“

ISSN 1987-9385



გვ.2

## მიხეილ მაჭავარიანი: „პრეზიდენტს „ნიჩურტი“ ჰქონდა“

## „მემანქანეებს 30 დღის განმავლობაში გაფიცვა სასამართლოს განჩინებით აეკრძალათ“




გვ.3



გვ.2

## ზაქარია ქუცნაშვილი: „პრეზიდენტმა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით ახალი განკარგულება უნდა გამოსცეს“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ქართული ოცნება“ დავით უსუფაშვილის გადაბირებას აპირებს?

## ომარ ნიშნიანიძე: „არჩევნებზე ბევრგან მეორე ტური გაიმართება“

შორენა მარსაგიშვილი





რატომ არა აქვს „ქართულ ოცნებას“ ფული, წაართმევენ თუ არა მათ ხმებს რესპუბლიკელები და ფორუმი, როგორი სამზადისია საარჩევნოდ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **ომარ ნიშნიანიძე** ესაუბრება.

***– ბატონო ომარ, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს „ქართული ოცნება“ დავით უსუფაშვილის გადაბირებას აპირებს. მართალია ეს ამბავი?***

– ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მე ზედა ეშელონებში არა ვარ და ასეთ საკითხებში არ ვერევი. ამ თემაზე ჩემთან არავის უსაუბრია. შესაძლოა, ვიღაცას უნდა, რომ უსუფაშვილი პარტია „ქართულ ოცნებაში“ იყოს, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ამიტომ ამ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ.

***– ვერ გვიდასტურებთ, მაგრამ ვერც უარყოფთ?***

– რაც არ ვიცი, იმას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ.

***– რადგან უსუფაშვილი ვახსენეთ, აქვე მის რესპუბლიკელებსაც შევეხოთ. ისინი ეროვნულ ფორუმთან ერთად ამ არჩევნებზე თქვენი კონკურენტები გახდებიან და ხმებს ხომ არ წაგართმევენ?***

– რა ხმები უნდა წაგვართვან? მგონი, არავის აქვს იმის ილუზია, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მათი მხარდამჭერებით მოიპოვა გამარჯვება. იმ არჩევნებზე ჩვენ ხმების 80% მივიღეთ, მაგრამ ნაციონალებმა 60% დაგვიწერეს. ამ ხმების დიდი ნაწილი ივანიშვილის ავტორიტეტმა მოიტანა. რესპუბლიკელებსაც და ეროვნულ ფორუმსაც ჰყავთ თავიანთი მხარდამჭერები, მაგრამ, არა იმდენი, რომ ჩვენ რაღაცნაირად დავზარალდეთ.

თამამად შემიძლია იმისი თქმა, რომ „ქართული ოცნება“ წელს ბევრად მეტ ხმას აიღებს, ვიდრე 2012 წელს. მაშინ, როგორც უკვე გითხარით, ნაციონალებმა მოგვპარეს ხმები. პარტიას არ დავასახელებ და მათი წასვლაც მოგვიტანს დამატებით ხმებს.

***– რესპუბლიკურ პარტიას გულისხმობთ?***

– ამომრჩევლის ნაწილი ხშირად გვეუბნებოდა, რომ ხმას რესპუბლიკელების გამო არ გვაძლევდნენ. ახლა ისინი ცალკე არიან, ჩვენ – ცალკე. ასე რომ, თავშეკავებულთა ხმებიც ჩვენკენ წამოვა.

მართალია, მომავალ არჩევნებზე ფორუმი და რესპუბლიკური პარტია ჩვენი კონკურენტები იქნებიან, მაგრამ მათ მაინც წარმატებას ვუსურვებ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ერთად ვიყავით იმ ომში, რომელშიც სააკაშვილის რეჟიმი დავამარცხეთ. ღმერთმა ყველას მშვიდობაში მოახმაროს თავისი ელექტორატი.

***– ამბობთ, რომ ამ პარტიებსაც ჰყავს თავისი მხარდამჭერები. თქვენი აზრით, ამ მხარდამჭერების დახმარებით შეძლებენ ისინი საარჩევნო ბარიერის გადალახვას?***

– ვერ გეტყვით, გადალახავენ თუ არა ბარიერს. ამ პარტიის რამდენიმე წევრი, ალბათ, მოხვდება პარლამენტში. წინ საინტერესო პოლიტიკური ცხოვრება გველოდება. კონკურენცია იქნება მაღალი და ზოგიერთ ოლქში მეორე ტურის დანიშვნა გახდება საჭირო.

***– მეორე ტური დაინიშნებაო და ეს რას უკავშირდება, ხელისუფლების რეიტინგი დაეცა?***

– 2012 წელთან შედარებით, ჩვენი რეიტინგი შემცირდა, მაგრამ მეორე ტურის დანიშვნასთან ამას საერთო არა აქვს. დარწმუნებული ვარ, მაჟორიტარული ოლქების 80%-ზე მეტს ჩვენი კანდიდატები მოიგებენ, ზოგან კი გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტურიც გახდება საჭირო.

***– მეორე ტური ნაციონალებთან გაიმართება?***

– რატომ ნაციონალებთან? არიან სხვა ღირსეული პარტიები, რომლებსაც ასევე ღირსეული კანდიდატები ეყოლებათ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ სადმე ნაციონალებიც გაძვრნენ მეორე ტურში. წინასაარჩევნოდ დემაგოგიას ფრთა გაეშლება და საზოგადოების იმ ნაწილის გადაბირება, რომელიც კრიტიკულ აზროვნებას მიჩვეული არ არის, ძნელი არ იქნება, ნაციონალებს კი დემაგოგიაში ვერავინ აჯობებს.

არჩევნებში მეორე ტურის დანიშვნა ცუდი არ არის. ეს დემოკრატიულობის მაჩვენებელია. თვითმმართველობის არჩევნებშიც იყო მეორე ტური და ამით ქვეყანა არ დაქცეულა.

***– ბატონო ომარ, თქვენ და თქვენი კოლეგები ხშირად აღნიშნავდით, რომ ბიძინა ივანიშვილი აქტიურად პოლიტიკურ პროცესებში თებერვლიდან ჩაერთვებოდა. მისი გააქტიურება ჯერ არ შეინიშნება და რა ხდება?***

– ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად გამოჩნდება. როგორი ფორმით მოხდება ეს, ახლო მომავალში ვნახავთ. არჩევნები კარგს მოგვადგა და დაყოვნება აღარ ღირს. მისი გამოჩენა „ქართულ ოცნებას“ ძალიან წაადგება.

***– არის იმის შანსი, რომ ის საარჩევნო სიაში ვიხილოთ?***

– პოლიტიკაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ, არა მგონია, ის სიაში იყოს.

***– სულ იმას ამბობდით, რომ პარტია „ქართული ოცნება“ სათანადოდ არ იყო გაძლიერებული. ახლა არჩევნებზე დამოუკიდებლად მიიღებთ მონაწილეობას და მზად ხართ არჩევნებისთვის?***

– ჩვენ ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ. შეიძლებოდა, ეს წლები პარტიის გასაძლიერებლად გამოგვეყენებინა. ასე არ მოვიქეცით და ახლა თავზე საყრელად გვაქვს საქმე. სამზადისი უკვე დაწყებულია და, დარწმუნებული ვარ, არჩევნებისთვის მოვასწრებთ სათანადო ფორმაში ჩადგომას.

***– არჩევნებამდე 6 თვეა დარჩენილი. 3 წელიწადში ვერ ჩადექით ფორმაში და 6 თვეში მოასწრებთ ამის გაკეთებას?***

– მოვასწრებთ, მთავარია, ყოველი დღე სწორად გამოვიყენოთ. როგორმე პიარის საკითხიც უნდა მოვაგ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# მიხეილ მაჭავარიანი: „პრეზიდენტს „ნიჩურტი“ ჰქონდა“

– პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დიდი ხანია უნდა იცოდეს, რომ მისი გამოსვლა რიგითი მოქალაქეების განცხადებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და აქვს სხვა პასუხისმგებლობა, – ასე ეხმაურება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი პრეზიდენტის განმარტებას საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გამოცემული განკარგულების ამოქმედების თარიღად 8 აგვისტოს განსაზღვრის შესახებ.



როგორც მაჭავარიანმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, „ნაციონალური მოძრაობა“ პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის გადაწყვეტილებას მიესალმა და ჰქონდათ მხოლოდ ერთი კრიტიკული შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ კონსულტაციები არ გაიმართა.

**მიხეილ მაჭავარიანი:**

– ნორმები, რომლებიც ძალაში შედიოდა ადმინისტრაციული რესურსის შეზღუდვის, პოლიტიკური პარტიებისთვის საჯარო სივრცეების უფრო მეტი გახსნილობის, საარჩევნო კომისიების ფორმირების, კვალიფიციური სუბიექტებისთვის სატელევიზიო ეთერის დათმობის კუთხით, ჩვენ გავიგეთ, როგორც გზავნილი, რომ პრეზიდენტი უკვე მზად იყო ამ ყველაფრისთვის. ასე იმიტომაც გავიგეთ, რომ მანამდე საუბარი შედგა პრემიერ-მინისტრთან და გვქონდა ეჭვი, რომ მათ ამ ხარჯებზეც ილაპარაკეს და მსხვერპლზე წავიდნენ, რომ მარტო მათი ხელფასების და დანამატების ზრდა კი არ მოხდება, არამედ გაიხსნება ველი საარჩევნო კამპანიისთვისაც. ახლა როგორც ხედავთ, პრეზიდენტი დაკავებულია იმის მტკიცებით, რომ მან არ იცოდა, „ნიჩურტი“ ჰქონდა, სხვას რამეს გულისხმობდა და 8 აგვისტოს გავიგებთ, რომ 8 ოქტომბერი დადგება.

მე ამას ტაკიმასხარაობა ვუწოდე და დღესაც იმავეს ვუწოდებ. საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი უფლებები და მოვალეობები ვერ გაიცნობიერა.

ინტერპრესნიუსი

# ზაქარია ქუცნაშვილი: „პრეზიდენტმა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით ახალი განკარგულება უნდა გამოსცეს“



როგორც კი არჩევნების დანიშვნის თაობაზე პრეზიდენტის ბრძანებულება გამოქვეყნდება, გამოქვეყნებიდან 24 საათში ორგანული კანონით – „საარჩევნო კოდექსით“ დაწესებული შეზღუდვები ამოქმედდება, – განუცხადა ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ქუცნაშვილის აზრით, არსებულ ვითარებაში ყველაზე კარგი გამოსავალია, პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნების ახალი თარიღი დადგინდეს, რომელიც თანხვედრაში იქნება მის ამოქმედებასთან – ანუ ბრძანებულების გამოქვეყნებისა და ამოქმედების თარიღი იყოს ერთი და იგივე, რომლის შედეგად, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვების ამოქმედება მოჰყვება.

**ზაქარია ქუცნაშვილი:**

– პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულება რომ ამოქმედდეს, ეს დამოკიდებულია გამოქვეყნების პროცედურაზე, თუმცა ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევაა, როცა გამოქვეყნება ორგანული კანონის ძალით უკვე წარმოშობს ორგანული კანონით – „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებულ შეზღუდვებს. ამ შემთხვევაში, თუ ეს აქტი გამოქვეყნდება 7 აპრილს, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანული კანონით სარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვები გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება. ამ შემთხვევაში უპირატესობა ორგანული კანონით არსებულ მოთხოვნებს ენიჭება და არა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით დადგენილ წესს, რომელიც ამბობს, რომ პრეზიდენტს შეუძლია, თავისი ბრძანებულების გამოცემისას მისი ამოქმედების სხვა თარიღი მიუთითოს.

„ნორნატიული აქტების შესახებ“ კანონი დაბლა მდგომი კანონია, ხოლო „საარჩევნო კოდექსი“ ორგანული კანონი და მაღლა მდგომი კანონია. ამიტომაც ამ შემთხვევაში ვიღებთ წინააღმდეგობას, კოლიზიას და კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა ორგანულ კანონს ენიჭება. ყველას მოვუწოდებ, გამოქვეყნებისა და ამოქმედების თარიღი დაემთხვას ერთმანეთს და შესაბამისი აქტი მოგვიანებით გამოიცეს – იქნება ეს მაისი თუ ივნისი, მაგრამ გამოიცეს მაშინ, როცა მისი გამოქვეყნება, ამოქმედება და საარჩევნო შეზღუდვების ძალაში შესვლა ერთმანეთთან სინქრონიზებული იქნება.

ინტერპრესნიუსი

# გიორგი მარგველაშვილი: „მინდა, პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლონ და საარჩევნო კამპანია ადრე დაგეგმონ“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი არჩევნების თარიღის 6 თვით ადრე დანიშვნის გადაწყვეტილებას განმარტავს. როგორც გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, მისი მიზანია, პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდეთ შესაძლებლობა არა მყისიერად, არამედ 6 თვის განმავლობაში, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე აქამდე ხდებოდა, იცოდნენ, როდის არის არჩევნების დღე და აწარმოონ საარჩევნო კამპანია.



**გიორგი მარგველაშვილი:**

– 8 აგვისტოს დასახელება კი გამომდინარეობდა იმ ხარჯებიდან, რომელიც გასაწევი აქვს ბიუჯეტს ამასთან დაკავშირებით. ხარჯების შემცირებიდან გამომდინარე ანუ დაფინანსებიდან, რომელიც მიდის თვითონ კომისიებზე და ამის შესაძლებლობა რთულია ამ ეტაპზე ჩვენი ბიუჯეტისთვის, აქედან ამ ხარჯებიდან გამომდინარეობს 8 აგვისტო. იმიტომ დავასახელე ასე ადრე, რომ მინდა ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლონ და დაგეგმონ საარჩევნო კამპანია ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა.

ეს განცხადება პრეზიდენტმა სოფელ ქანდაში, ცამეტი ასურელი მამის სახელობის ტაძარში გააკეთა, სადაც მეუღლესთან ერთად ხარების სადღესასწაულო წირვას დაესწრო.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნანა დევდარიანი: „ალასანიასა და რესპუბლიკელებს არჩევნებზე გაუჭირდებათ“

## „არჩევნების თარიღთან დაკავშირებული პრეტენზიები გაუგებარია“

ნონა ცაბაძე

არჩევნების თარიღმა ოპოზიციურ სპექტრსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში აზრთა სხვადასხვაობა და უკმაყოფილება გამოიწვია. რატომ არის ეს თარიღი ოპოზიციისთვის მიუღებელი, ამის გარკვევას „ახალი თაობა“ ცესკოს ყოფილ თავმჯდომარე **ნანა დევდარიანთან** შეეცადა.

***– ქალბატონო ნანა, რატომ წავიდნენ ოპოზიციის დიდი ნაწილი და არასამთავრობო ორგანიზაციები არჩევნების თარიღად 8 ოქტომბრის დანიშვნის წინააღმდეგნი?***

– 28 ოქტომბერს უნდა დანიშნულიყოო, მოვისმინეთ შეფასებებში. რომ გითხრათ, რაღაცა განსაკუთრებულს წყვეტს ეს სამი კვირა-მეთქი, ასე არ არის. ადმინისტრირების პროცესი ნორმალურია, დახვეწილია ამ ეტაპისათვის მთავარი ის არის, რომ მათ უნდოდეთ საარჩევნო კოდექსის შეცვლა, თორემ, პროცესი რომ დადგეს საფრთხის წინაშე, ეს მომენტი არ არსებობს.

***– მაშინ რატომ აპროტესტებენ?***

– 2 ოქტომბერს იყო 2012 წელს, ამ თვალსაზრისით, ძალიან ახლოს არის ეს თარიღი წინა არჩევნების თარიღთან. კონსტიტუციაც პირდაპირ გვეუბნება, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ არის არჩევნები.

***– პრეტენზიები გაუგებარია?***

– ამიტომ პრეტენზიები ცოტა გაუგებარია. დანარჩენი, ის რა წინააღმდეგობებიც არის, არსებულ ნორმებს და იმას შორის, რასაც ოპოზიცია ითხოვს, ესეც სრულიად გასაგებია, თუმცა ამ თვალსაზრისით ბევრი არაფერი იცვლება, იმიტომ, რომ თუ არის პოლიტიკური ნება, გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება. ხოლო თუ არ არის პოლიტიკური ნება, გინდ ორში იყოს, გინდ რვაში და გინდ 28-ში, არავითარი მნიშვნელობა ამას არა აქვს.

***– კვირიკაშვილს სთხოვენ, რომ არ მოაწეროს ხელი პრეზიდენტის დადგენილებას. შეიცვლება რამე?***

– არაფერი, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთი დაძაბულობის კერა შეიქმნება პრეზიდენტსა და პრემიერს შორის. ეს ვის რაში სჭირდება?! მე დაახლოებით ვხვდები, ვის შეიძლება სჭირდებოდეს.

***– ბევრს კითხვის ნიშანი ამ კუთხითაც გაუჩნდა, რატომ დათბა მათ შორის ურთიერთობა მაინცდამაინც ახლა. თქვენ რითი ხსნით ამას?***

– ამას დათბობას არ დავარქმევდი. ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო ურთიერთობები და კვირიკაშვილი ეცადა, მოეხსნა ის დაძაბულობა, რომელიც მანამდე არსებობდა.

***– ითქვა ისიც, რომ ოფიციალურად წინასაარჩევნო კამპანია დაიწყება 8 აგვისტოს. ეს ხომ არ არის მიუღებელი ოპოზიციისთვის? ამბობენ, რომ აგვისტო პოლიტიკურად მკვდარი თვეა. ეს ყოველივე პრობლემებს შეუქმნის მათ?***

– რა თქმა უნდა, საერთოდ, ითვლება, რომ აგვისტო დასვენების პერიოდია, მაგრამ, მეორე მხრივ, მოდით, რეალურად ვთქვათ, აგვისტოში საზღვარგარეთ დასასვენებლად



წასვლა ჩვენი მოსახლეობის რა პროცენტს შეუძლია? მაქსიმუმ 5%-ს. დანარჩენებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს დასვენება, ეკონომიკური მდგომარეობა დამძიმდა, ბავშვების გაყვანაც კი ძალიან უჭირს უმეტესობას. ეს კატეგორია საქართველოს მასშტაბით მიდის სადღაც და მათთვის რა პრობლემაა?!

***– წინასაარჩევნოდ რამდენად თანაბარ პირობებში იქნებიან პარტიები ჩაყენებული?***

– თანაბარი პირობები არც არის და არც ყოფილა არასოდეს, იმიტომ, რომ არსებობს ადმინისტრაციული რესურსი და მისი გამოყენების რეალური შანსი. ამის გარდა, ფინანსებიც არ არის თანაბარი. ასევე არათანაბრად არიან წარმოდგენილი მედიაში. თანაბარ პირობებზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია. ჩვენ ვამბობთ, რომ სწორება გვაქვს დასავლეთზე და გადახედეთ შეერთებულ შტატებს, იქ რამდენად თანაბარია საარჩევნო გარემო? გგონიათ, რომ მარტო ორი პარტიაა? არა, მაგრამ რეალურად ჩანს ეს ორი პარტია და უმსხვილესი კომპანიები ამ ორ პარტიას აფინანსებენ. იქაც ასეთივე სიტუაციაა. ამდენად, თანაბარი პირობები არ არის. ყველა ოპოზიციური პარტია, რომლებიც ითხოვენ, რომ თანაბარი იყოს პირობები, მერე რომ მოდიან ხელისუფლებაში, ყველაფერს იმავეს ტოვებენ, იმიტომ, რომ ასე უფრო კომფორტულია.

***– საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებითაც გამოითქვა პრეტენზიები. ამბობენ, რომ ეს ცვლილებები პრემიერ კვირიკაშვილს მოარგეს.***

– ეს საკითხი სადავოა. ბევრი ხარვეზია და ასე გადაჭრით ამის თქმა სწორი არ იქნება. სხვადასხვა წაკითხვით შეიძლება შეხედო ამ საკითხს. თუმცა მთელი დანარჩენი უთანაბრობის ფონზე ეს უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია. ჩვენ ცხვირწინ გვაქვს საგარეჯოს მაგალითი. ისიც ძალიან კარგად ვნახეთ, ამ რესურსის გამოყენება და მერე მისი „გაპრავება“ როგორ ხერხდება.

***– ამბობენ, რომ სწორედ ამ საგარეჯოს არჩევნებმა შეიწირა რესპუბლიკელები.***

– პოლიტიკაში ასეა, ყოველთვის რაღაც ასრულებს ბოლო წვეთის ფუნქციას. თორემ ეს გაღიზიანება ხომ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში სულ მწიფდებოდა. ეს გამოწვეული იყო იმითი, რომ რესპუბლიკელებს არაადეკვატურად მაღალი წარმომადგენლობა ჰყავდათ ხელისუფლების უმაღლეს რგოლებში, ვიდრე ეს მათი რეიტინგიდან გამომდინარეობს.

***– არჩევნებზე ვის რა შანსები აქვს?***

– წინასაარჩევნოდ პროგნოზების გაკეთება უმადური საქმეა, თუმცა, ვინც გადალახავს ბარიერს, ეს არის „ოცნება“, ასევე ნაციონალები, მაგრამ გაცილებით ნაკლები წარმომადგენლობით, ვიდრე დღეს, ასევე – ბურჯანაძის კოალიცია და პატრიოტთა ალიანსი. ეს რეალურად, რაც დღეს ჩანს.

***– რესპუბლიკელები და ალასანია სათუოა?***

– ალასანიამ რომ გადალახოს ბარიერი, ეს ძალიან სათუოა, მით უმეტეს ახლა, როცა რესპუბლიკელები გადიან ცალკე, იმიტომ, რომ ისინი ერთ ამომრჩეველზე მუშაობენ. ერთმანეთს ხმებს დააკარგვინებენ.

***– მათი ალიანსი?***

– ჯერჯერობით უარყოფენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ აკვირდებით, რესპუბლიკელები კი გადიან ცალკე, მაგრამ ბოლომდე დისტანცირებული არ არიან ივანიშვილის პარტიისგან. მაშინ მათ პირდაპირ ომი უნდა გამოუცხადონ ივანიშვილს.

# „მემანქანეებს 30 დღის განმავლობაში გაფიცვა სასამართლოს განჩინებით აეკრძალათ“

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მოთხოვნა „ერთობა 2013“-ის გაფიცვის 30 დღით გადადების თაობაზე.

განცხადებას ამის შესახებ თბილისის სატრანსპორტო კომპანია ავრცელებს.

– თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელობასა და მემანქანეების გაერთიანება „ერთობა 2013“-ს შორის ინტენსიურად გრძელდება მოლაპარაკებები მემანქანეების მხრიდან დასმულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კომპანია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ მოთხოვნებზე კონსტრუქციული მოლაპარაკებების გამართვის შემთხვევაში არსებობს რესურსი იმისთვის, რომ საბოლოოდ მიღწეული იყოს კომპრომისი „ერთობა 2013“-თან, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც მემანქანეებს, ასევე არ დააზარალებს კომპანიას და არ გამოიწვევს ქალაქის სატრანსპორტო




ქსელის შეფერხებას. აქედან გამომდინარე, შემათანხმებელი პროცედურების გაგრძელების მიზნით, კომპანიამ მიმართა შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ საშუალებებს, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა განცხადება „გაფიცვის გადადების-შეჩერების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 აპრილის განჩინებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მოთხოვნა 30 კალენდარული დღის ვადით გაფიცვის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნულ პერიოდში საგაფიცვო მოქმედებების განხორციელება ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობად და გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებას.

სატრანსპორტო კომპანია, თავის მხრივ, სრულ მზადყოფნას გამოთქვამს, აღნიშნულ პერიოდში მემანქანეების მოთხოვნებთან დაკავშირებით გააგრძელოს ინტენსიური და კონსტრუქციული დიალოგი კომპრომისული შეთანხმების მიღწევამდე.

ინტერპრესნიუსი

# „ქართული ოცნება“ დავით უსუფაშვილის გადაბირებას აპირებს?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვაროთ. უამრავი რამე გავაკეთეთ და ხალხმა ამის შესახებ არაფერი იცის. ნაციონალების მიერ კონტროლირებადი მედიის ამარა ხალხის დატოვება არ შეიძლება. მაგათ რომ უსმინოს კაცმა, ქვეყანა დაქცეულია, რაც სიმართლე არ არის. ჩვენ ხალხს, პირველ რიგში, რეალობა უნდა დავანახოთ და მათ სწორი არჩევანის გაკეთება აღარ გაუჭირდებათ.

***– არჩევნების თარიღზე რას იტყვით? ოპოზიცია შეშფოთებულია, რატომ დანიშნეს არჩევნები 8 ოქტომბერსო.***

– 14 ოქტომბერს რომ დანიშნულიყო, მოეწონებოდათ? ეს არის თითიდან გამოწოვილი პრეტენზიები. ყველაფერზე განგაშის ატეხა არ შეიძლება. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ არჩევნები ოქტომბერში გაიმართებოდა. უკვე გითხარით, რომ ზოგან მეორე ტური გახდება საჭირო. ამას დამატებითი დრო დასჭირდება და ახალ წლამდე მაინც ხომ უნდა დაკომპლექტდეს ახალი პარლამენტი. არჩევნებისთვის ძალიან კარგი თარიღია შერჩეული.

***– რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა პარტიებისათვის გაღებული შემოწირულობები, საიდანაც ჩანს, რომ „ოცნებისთვის“ დიდი თანხა არავის გადაურიცხავს. თქვენი კოლეგა თამაზ მეჭიაური ამბობს, პარტიაში ყველა ჩემსავით ჯიბეგაფხეკილიაო და მართლა ასეთი ჯიბეგაფხეკილები ხართ?***

– თამაზი სიმართლეს ამბობს. მილიონერები არა ვართ, მაგრამ არც ნამეტანი თავის მომკვდარუნებაა საჭირო. პარლამენტის წევრი სანამ გავხდებოდი, მანამდე მატერიალურად უფრო კარგად ვიყავი. გარდა იმისა, რომ პროფესორი ვარ, კერძო ინსტიტუტი და კერძო სკოლაც მქონდა. როგორც კი დეპუტატი გავხდი, ეს ყველაფერი გავაჩერე.

ნაციონალების დროს დეპუტატები ყველაფერს იყვნენ მოდებული, ჩვენ ასე ვართ. ისე არავინ ალიქვათ, რომ ვწუწუნებთ, თუმცა, ყველამ იცოდეს, რომ არავის წილში არ ჩავსხდომივართ. ჩვენ ეს არ გვიკადრია. თუ ვინმეს ბიზნესის დაწყებაში დავეხმარეთ, არავისგან სამაგიერო არ მოგვითხოვია. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ თავიანთი საქმე. ეს, პირველ რიგში, ქვეყანას წაადგება. რაც მეტად გაძლიერდება საშუალო ფენა, მით უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

***– გაირკვა, რომ ცოტა ხნის წინ შექმნილმა „გირჩებმა“ თქვენზე მეტი ფული მიიღეს. ეს რანაირად მოხდა, თქვენი ლიდერი ხომ ამ ქვეყნის ყველაზე მდიდარი მოქალაქეა?***

– რატომ გიკვირთ, „გირჩებმა“ ყველაზე მეტი დაფინანსება რომ მიიღეს? მაგათ პატრონსაც არ აკლია ფული. მათ უკან ისევ ნაცები დგანან და ისინივე აფინანსებენ. სააკაშვილი ცდილობს, გააკეთილშობილოს თავისი პარტიის განაყოფები. ხალხს ატყუებენ, თითქოს ნაცმოძრაობას გამოეყვნენ. არაფერიც არ გამოყოფიან, ისევ იქ არიან იდეოლოგიურად. სახელის გადარქმევით ვერ განიბანებიან და კრისტალები ვერ გახდებიან. იგივე დარჩნენ, რაც ნაციონალებში იყვნენ. გინდა „გირჩი“ დაირქვან და გინდა ციყვი.

იმის გამო, რომ ჩვენი ლიდერი ბიძინა ივანიშვილია, ყველას ჰგონია, რომ ფულებს გვაყრის თავზე. ეს ასე ნამდვილად არ არის. ჩვენ ყველაფერს კანონის ფარგლებში ვაკეთებთ.

***– ბატონო ომარ, თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ გინდათ, ქუთაისის მაჟორიტარობისთვის იბრძოლოთ. ისევ გაქვთ ამის სურვილი?***

– ქუთაისის მაჟორიტარობაზე ისევ მაქვს პრეტენზია, მიმაჩნია, რომ ცუდი მაჟორიტარი არ ვიქნები. ჩემს მშობლიურ ქალაქს გამოვაცოცხლებდი. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ქუთაისი ერთგვარად მიტოვებული იყო. არ გეგონოთ, რომ გუბაზ სანიკიძეზე საყვედურს ვამბობ. მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ არ იყო აქტიური მაჟორიტარი. სხვათა შორის, ეს არ არის ჩემი სიტყვები. ამას ქუთაისელები ამბობენ.

გარკვეული თვალსაზრისით, ამ წლების განმავლობაში მე მიწევდა ქუთაისის მაჟორიტარის ფუნქციის შესრულება. ჩემი სახლკარი, ინსტიტუტი იყო „ქართული ოცნების“ შტაბი. ყოველდღე უამრავი ადამიანი მაკითხავდა. ჩემი თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ, შუამდგომლობებს გადახედოთ. ქუთაისსა და ქუთაისელებზე ზრუნვა არასდროს მეზარებოდა და არც მომავალში დამეზარება. ახლა უფრო მეტად მინდა, მაჟორიტარობისთვის ვიბრძოლო.

***– რატომ, რადგან გუბაზ სანიკიძე და მისი ფორუმი კოალიციიდან წავიდნენ?***

– ამიტომ არა. საარჩევნო ოლქები სხვანაირად გადანაწილდა და ქუთაისს ჩემი ღვიძლი რაიონის – თერჯოლის სოფლები მიუერთეს. ორმაგად გამიჩნდა მაჟორიტარობის სურვილი.

***– თქვენ ერთგან თქვით, თერჯოლელი სოკრატე ვარო და ამით ქუთაისელები ხომ არ გაანაწყენეთ? მოინდომებენ ისინი მაჟორიტარად თერჯოლელ სოკრატეს?***

– ქუთაისელები ამას არ მიწყენენ. თერჯოლაში ვარ დაბადებული და იქ გავიზარდე. 42 წელია, ქუთაისში ვცხოვრობ და ნამდვილი ქუთაისელი ვარ. იმედი მაქვს, გაითვალისწინებენ ამ ყველაფერს და დამასახელებენ მაჟორიტარობის კანდიდატად.

***– არ გქონიათ ამ თემაზე პარტიაში საუბარი?***

– არავისთან მისაუბრია. საჯაროდ ეს განცხადება რამდენჯერმე მაქვს გაკეთებული. ვნახოთ. ცოტა ხანში დაასახელებენ მაჟორიტარობის კანდიდატებს და იქ გაირკვევა, შეჩერდება თუ არა ჩემზე არჩევანი.

***– თუ არ დაგასახელებენ, რას იზამთ?***

– გული დამწყდება, მაგრამ, ვისაც დაასახელებენ, იმას ვუსურვებ წარმატებას. მე დეპუტატად არ დავბადებულვარ და არც პარლამენტიდან გამიჭირდება წასვლა. არც მე და არც ჩემი მეგობრები სკამებს არ ვართ გამოკერებული.


სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მამუკა კაციტაძე: „პრეზიდენტს არჩევნების თარიღზე კონსულტაცია ჩვენთანაც უნდა გაემართა“

## ოქტომბრის დასაწყისი არჩევნების ჩასატარებლად მთლად საუკეთესო პერიოდი არ არის

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე **მამუკა კაციტაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად არ მიიღებენ მონაწილეობას და საარჩევნო ბლოკს შექმნიან.

***— ბატონო მამუკა, ოპოზიცია აცხადებს, რომ პრეზიდენტმა არჩევნები ადრე დანიშნა, სამართლის ექსპერტები კი მიუთითებენ იმაზე, რომ ამ თარიღმა შეიძლება სამართლებრივი ვაკუუმი შექმნას. თქვენთვის რაიმე სახის პრობლემას ქმნის ეს თარიღი?***

— საპარლამენტო არჩევნები 2016 წლის ოქტომბერში რომ უნდა ჩატარდეს, ეს კანონით არის განსაზღვრული, მაგრამ საინტერესო იყო კონკრეტული რიცხვის დასახელება. ფაქტია, როდესაც 6 თვით ადრე იცი, როდის ჩატარდება არჩევნები, ეს კარგია, თუმცა, რომ გითხრათ, ამით განსაკუთრებული პოზიტივი გაჩნდა, მართალი არ ვიქნები, თანაც ამ თარიღს ახლავს სამართლებრივად კითხვის ნიშნები. პრეზიდენტის ამ განკარგულების გამოქვეყნებისთანავე იწყება შეზღუდვები, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების კუთხით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კუთხით, პარტიების ცესკოში რეგისტრაციის მიმართულებით და ა.შ. ამდენად, შესაბამის სტრუქტურებს მოუწევთ, კანონთან შესაბამისობაში მოიყვანონ არჩევნების დანიშვნის სამართლებრივი მხარე. კარგი იქნებოდა, რომ ეს კითხვის ნიშნები იმთავითვე ყოფილიყო წაკითხული და წინასწარვე ყოფილიყო თადარიგი დაჭერილი.

***— ბატონო მამუკა, არჩევნების თარიღის გამოცხადება ინტერპარტიულ ჯგუფსა და ხელისუფლებას შორის საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებში კორექტივებს შეიტანს?***

— არჩევნების თარიღის დანიშვნა ხელს ვერ შეუშლის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს თარიღი განსაზღვრულია კანონმდებლობით, მხოლოდ, რომელ კონკრეტულ რიცხვს ჩატარდება არჩევნები, ეს უნდა გარკვეულიყო. მიუხედავად ამისა, ცხადია, უმჯობესი იქნებოდა, რადგანაც 15 აპრილი არის სამუშაო ჯგუფის მუშაობის ბოლო ვადა, არჩევნების თარიღიც მას შემდეგ დანიშნულიყო, რაც ხელისუფლებისგან გვექნებოდა ამ საკითხზე სრული პასუხი. ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ როგორი იქნება ხელისუფლების პასუხი საარჩევნო კოდექსის ცვლილების ირგვლივ, პოზიტიური თუ ნეგატიური.

***— პარტიების ნაწილი ამბობს, რომ პრეზიდენტს ჩვენთანაც უნდა გაემართა კონსულტაციები არჩევნების თარიღზე. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, სანამ არჩევნების თარიღს გამოაცხადებდა, რამდენიმე ხნით ადრე მოლაპარაკებები გამართა პრემიერ კვირიკაშვილთან. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ პრემიერი კონკრეტული პოლიტიკური ძალის ლიდერია. ამიტომ, პრემიერსა და პრეზიდენტს შორის თუ არჩევნების თარიღი იყო განხილვის საგანი, მაშინ იქნებ ეს საკითხი დანარჩენ პოლიტიკურ ძალებთანაც გამხდარიყო განხილვის საგანი.

პრეზიდენტი, რომელიც აცხადებს, რომ ის არ არის რომელიმე ერთი პოლიტიკური ძალისა თუ პარტიის ლიდერი, არამედ არის ნეიტრალური პოლიტიკურადაც და პარტიულადაც, სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე მას უნდა გაემართა კონსულტაციები სხვებთანაც. ეს არის და ეს. ისე, ზოგადად, არჩევნები ამომრჩევლისა და პოლიტიკური პარტიებისთვის ტარდება. ამდენად, ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა, რომ გარკვეული კონსულტაციების საფუძველზე დანიშნულიყო არჩევნების დღე.

***— არ მოგწონთ ეს თარიღი?***

— ოქტომბრის დასაწყისი არ არის მთლად საუკეთესო პერიოდი არჩევნების ჩასატარებლად. საარჩევნო კალენდარი მოქმედებას იწყებს არჩევნების დღიდან 60 დღით ადრე ანუ 8 აგვისტოს. აგვისტო და სექტემბრის დასაწყისი საარჩევნო კამპანიისთვის, წინასაარჩევნო აგიტაციისთვის მაინცდამაინც კარგი დრო არ არის. როგორც წესი, ამ დროს ამომრჩეველი თავისი რეგისტრაციის ადგილზე არ არის, ან ზღვის სანაპიროებზეა, ან აგარაკზე. ამ თვალსაზრისით უმჯობესი სხვა თარიღი იქნებოდა. თუმცა, ისევე, როგორც ვერ ვხედავ ამ თარიღის ადრე გამოცხადებაში განსაკუთრებულ პოზიტივს, ასევე არ მინდა, განსაკუთრებული კრიტიკის საგნად ვაქციო, რადგან ეს არის მოცემულობა. მას შემდეგ, რაც სამართლებრივ ჩარჩოში ჩაჯდება პრეზიდენტის ეს განკარგულება, პოლიტიკურ ძალებს გვმართებს ჩვენი ძალისხმევის მობილიზება ორი მიმართულებით: ერთი, ძალიან მოკლე დროში შევძლოთ საარჩევნო გარემოს ირგვლივ ყველა შესაძლო ვერსიის გამოყენება და რეალიზაცია და მეორე – სრულფასოვანი მზადება არჩევნებისთვის.

***— ასეთი შეფასებებიც მოვისმინე, რომ ხელისუფლებამ გამოცხადებული თარიღი მოირგო იმ ფონზე, როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს საარჩევნო კანონმდებლობაზე. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს? კითხვის ნიშანს გიტოვებთ, რომ მოლაპარაკებები დასრულდა?***

— არა, კითხვის ნიშანს ნამდვილად არ მიტოვებს. მოლაპარაკებების პროცესი ისედაც უნდა დასრულდეს ან დადებითად, ან უარყოფითად. ამიტომ ხელის შემშლელ ფაქტორად ამას ვერ დავასახელებ. რაც შეეხება მორგებას, არა, რანაირად უნდა მოირგოს, 8 ოქტომბერი ჩემთვისაც 8 ოქტომბერია და ხელისუფლებისთვისაც.

***— ბატონო მამუკა, კოალიციაში შემავალი პარტიების ნაწილი დამოუკიდებლად აპირებს კენჭისყრას. იმავეს აცხადებენ ალასანიას პარტია და ნაციონალური მოძრაობა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია თუ იდეოლოგიის, მონათესავე პოლიტიკური პლატფორმის მიხედვით საარჩევნო ბლოკს შექმნის, მათი შანსები უფრო დიდია. თქვენ როგორ აპირებთ ამ არჩევნებზე გასვლას?***

— ამ მიმართულებით ნაფიქრიც გვაქვს და კონკრეტული გადაწყვეტილებაც მიღებული. ყველა პარტია აცხადებს, რომ არჩევნებზე მარტო გადის, თითქოს ეს მოდაში შემოვიდა, მაგრამ მერე ვხედავთ, რომ საარჩევნო ბლოკში, კოალიციაში არიან. ეს ხომ მიანიშნებს ამ პარტიების შესაძლებლობებზე. რაც შეეხება „ახალ მემარჯვენეებს“, ჯერ კიდევ კოალიციის დაშლამდე ჩამოვყალიბდით, რომ ჩვენ არჩევნებზე პოლიტიკური ბლოკის სახით გავალთ. ახლა ამოცანა არ არის საკუთარი პარტიის გადარჩენა, როგორმე პარლამენტში შეღწევა და ტივტივი. ჩვენი მიზანი სერიოზული პოლიტიკური ერთობის შექმნაა.

***— ვისთან ერთად?***

— იდეოლოგიურ, ფასეულობრივ და ევროატლანტიკური მიმართულებით თანხვედრილ ძალებთან. პარტნიორებიც სწორედ ამ კუთხით გვყავს მოაზრებული.

***— არ გვიმხელთ, ვისთან შეიძლება იყოს ასეთი ერთობა?***

— ვერ გიმხელთ. ამ კრიტერიუმებში, ამ ფასეულობებში ვინც მოიაზრება, ყველასთან შეიძლება იყოს ასეთი ერთობა, გარდა ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნებისა“.





# აფხაზეთში ყარაბაღის სცენარის გამეორებას ვარაუდობენ

მარიამ მჭედლიშვილი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განახლებამ შექმნა მძიმე რეალობა, რომელიც თითქმის მთელ მსოფლიოს აღელვებს.

როგორც ირკვევა, ამან შიში გააჩინა ანექსირებულ აფხაზეთშიც. სოხუმში გამოითქვა ეჭვი, რომ ძალისმიერი მეთოდის გამოყენება შეიძლება თბილისმაც ცადოს. აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი იმის გამოც არის შეშფოთებული, რომ მთიანი ყარაბაღი მოძმე რესპუბლიკაა. საერთოდ, აფხაზეთის რეჟიმს განსაკუთრებულად მჭიდრო ურთიერთობები აქვს თვითგამოცხადებულ მხარეებთან – მთიან ყარაბაღთან, დნესტრისპირეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან.

აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი თემურ გულია აცხადებს, რომ აფხაზეთში მთიანი ყარაბაღის სცენარის გამეორებაა მოსალოდნელი.

— სიტუაცია სერიოზულია: საქართველოს შეიარაღებული ძალები ატარებენ წვრთნებს და იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას. ჯარი მარაგდება ახალი სახის შეიარაღებით. საქართველოს არმიამ პრაქტიკულად დაასრულა ნატოს სტანდარტზე გადასვლა. ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მოვლენების განვითარების ნებისმიერი, მათ შორის ძალისმიერი ვარიანტისათვის, – აღნიშნავს გულია.



მისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს ხელისუფლება გაურბის ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულების ხელმოწერას, რაც მას საკითხის ძალისმიერად გადაწყვეტის შესაძლებლობას უტოვებს.

აფხაზი დეპუტატი ირწმუნება, რომ პერიოდულად საქართველოს საზოგადოებაში ისმის მოწოდებები 2008 წლის აგვისტოს რევანშის თაობაზე.

გულიას თქმით, დასავლეთი საქართველოს წინაშე აყენებს მოთხოვნას – სანამ არ მოაგვარებს კონფლიქტებს, მანამდე კარს არ გაუღებს. ამ სიტუაციაში საქართველოს აქვს ორი გზა – ან ძალისმიერად გადაწყვიტოს ეს პრობლემა, ან აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

მისივე თქმით, აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღს ბევრი აქვთ საერთო, განსხვავება კი იმაშია, რომ აფხაზეთი აღიარა რუსეთმა.

ყარაბაღის სიტუაციის გამეორებას აფხაზეთში ამ ეტაპზე შეუძლებლად მიიჩნევს დეპუტატი რობერტ აილიანი.

მისი შეფასებით, თბილისი აფხაზეთში ატარებს თანამშრომლობის პოლიტიკას აღიარების გარეშე. გარდა ამისა, აფხაზებსა და ქართველების დაპირისპირებაში, ყარაბაღისაგან განსხვავებით, არ არსებობს რელიგიური ფაქტორი. აფხაზეთში უსაფრთხოებას უზრუნველყოფს რუსეთის ბაზები და რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ.

აფხაზეთში ყარაბაღის სცენარის განვითარებას არ ელიან რუსი პოლიტოლოგებიც. მათი აზრით, საქართველოს არმია სუსტია, არ შეიძლება მისი შედარება აზერბაიჯანის ძლიერ არმიასთან. ამიტომ ის ძალისმიერ მოქმედებებს ვერ დაიწყებს. გარდა ამისა, აფხაზეთს რუსეთის ჯარი იცავს. მათივე შეფასებით, ხმამაღალი განცხადებები საქართველოს ნატოში მოსალოდნელ შესვლაზე მხოლოდ პიარია. საომრად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც არ არის განწყობილი.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლიტვის პრეზიდენტმა უკრაინელ ხალხს მიმართა



ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ ღია ეთერით უკრაინელ ხალხს მიმართა. მან განაცხადა, რომ ნიდერლანდებში ჩატარებული რეფერენდუმი უკრაინის ევროპაში ინტეგრაციას ვერ შეაფერხებს.

— უკრაინა მუდამ ევროპის ნაწილი იყო, – თქვა ქალბატონმა გრიბაუსკაიტემ.

ლიტვის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რეფერენდუმის შემდეგ უკრაინის ევროპაში ინტეგრაცია უფრო ხანგრძლივი იქნება, თუმცა ევროპის ჯანსაღი ძალები უკრაინელების გვერდით იდგებიან.

— ჩვენ ყველანი, მხედველობაში მაქვს ევროპის ჯანსაღი ძალები, თქვენ გვერდით ვდგავართ, გეხმარებით და მომავალშიც დაგეხმარებით. დიდება უკრაინას! – თქვა გრიბაუსკაიტემ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ჯონ ქერი ბაჰრეინში ჩავიდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ბაჰრეინში ჩავიდა. ვიზიტის მიზანია სპარსეთის ყურის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაფართოება.

21 აპრილს სპარსეთის ყურის ქვეყნების სამიტი გაიმართება. მას აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამაც დაესწრება. ქერის ერთ-ერთი მისია ამ ვიზიტის მომზადებაა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი აქცენტს უსაფრთხოების საკითხებსა და ტერორიზმთან ბრძოლაზე გააკეთებს. ეს დღეს აშშ-ის პოლიტიკის პრიორიტეტია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. ონოღიას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „ხონის“ (ცხენისწყლის) ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 34 200 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ონოღიას მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

5 560 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

556 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

2 980 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 მაისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 მაისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

2 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხვანჭკარას მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 31 200 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხვანჭკარას მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

4 749 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

474,9 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

2 575 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 მაისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 მაისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

3 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის გასწორხაზოვნების მიმართულებით, ისე რომ არ მოხდეს მდინარის ნაპირების ეროზია.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შარდომეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 60 900 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შარდომეთის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

8 166 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

816,6 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

4 283 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 მაისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 10 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 10 მაისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №4

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეორე სვირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 112 200 მ³).

– ვფიქრობ, კარგი თამაში ჩატარდა. ორივე გუნდი საკმაოდ იყო მობილიზებული. მინდა აღვნიშნო, რომ ტორპედო პირველი გუნდია, რომელმაც ჩვენს მოედანზე ფეხბურთი ითამაშა. პირველ ტაიმში კარგად გამოვიყურებოდით. შესვენებაზე მეტი კონცენტრაციისკენ მოვუწოდე ფეხბურთელებს. პენალტის შემდეგ ვაბანკზე წავედით და 3 მცველზე გადავერთეთ. ბიჭებმა მოუმატეს და საბოლოოდ მოვიგეთ.

## სამტრედია – დინამო (ბთ) 2:0

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**
**1:0 ზივზივაძე (53), 2:0 ჯიქია (65)**

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, გ.მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, ცნობილაძე, მარკოზაშვილი (მთივლიშვილი 89), რაჟამაშვილი (ახალაძე 87), სიხარულიძე, ზივზივაძე, დ.ჯიქია (ენდელაძე 83)

**დინამო:** ალავიძე, სუხიაშვილი, მიჰაილოვიჩი, ტეტუნაშვილი, ტვილდიანი, შონია, გოგიტიძე (მაქაცარია 77), ფონიავა (კვანტალიანი 87), ვარშანიძე, კომაზეცი, ჭკუასელი (ბერიაშვილი 65)

სამტრედიელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს და სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზე მყარად არიან. გოლები ისევ ახალგაზრდა შემტევებმა გაიტანეს. თუმცა, სამტრედიას ძირითადი ნაწილი სწორედ ამ ასაკის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული.

## გურია – დილა 0:1

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**
**0:1 მაშუკოვი (81)**

**გურია:** იოვანოვიჩი, ჩადუნელი, კილაძე (სმოლი 46), პატერსონი, ნოზაძე, ზოზულია, მოროზენკო, ალავერდაშვილი, ნუნიესი, კახელიშვილი (შტანდერი 68, ჟუნიორი 89), გამყრელიძე

**დილა:** მუჯრიშვილი, სამხარაძე, კვირკველია, ბაგაევი, ხურცილავა, ნონიკაშვილი (წიქარიძე 75), ფალავანდიშვილი, ძარია (მაშუკოვი 73), ლონლაძე, მოდებაძე, მარცვალაძე (ჩელებაძე 82)

დილამ მნიშვნელოვანი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში. რომ არა ისლამ მაშუკოვის გადამწყვეტი გოლი, გორელებს ევროსაგზურებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გაუჭირდებოდათ. თუმცა, ჯერ მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვთ.

გურიას კი ვერც ახალმა მწვრთნელმა უშველა და ახლა ელიტაში დარჩენისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩები ელის.

## სიონი – ზუგდიდი 3:1

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**
**1:0 კობახიძე (33), 1:1 ჩუკვურა (54), 2:1 კობახიძე (59), 3:1 ლუის ალბერტო (71)**

**სიონი:** მერლანი, ფოფხაძე (გიორბელიძე 63), სვანიძე, გურეშიძე, გაფრინდაშვილი, მანჯგალაძე, გვალია (რაზმაძე 63), კობახიძე, გოგობერიშვილი, გოგინაშვილი (შალამბერიძე 70), ლუის ალბერტო



ზუგდიდი: ზარქუა, მაჩაიძე, ჩუკვურა, გაგოშიძე, ჯავაშვილი (ჩანადირი 59), ტყემალაძე, მალანია, სიხარულია (თიბილაშვილი 63), გ.სამუშია, წურწუმია, ჩებოტარევი

თავისი მატჩი მოიგო ბოლნისის სიონმაც და ევროსაგზურებისთვის ბრძოლას აგრძელებს. აღსანიშნავია, რომ დუბლით გამოირჩა ახალგაზრდა ფეხბურთელი ოთარ კობახიძე.

ზუგდიდელები კი კვლავაც ბოლო ადგილზე არიან და წინ ურთულესი მატჩები ელით.

## ჩიხურა – ცხინვალი 2:1

**ივანწმინდა. ცენტრალური**
**1:0 განუგრავა (5), 2:0 ჩიკვაიძე (10), 2:1 ქოჩლაძე (19)**

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კირკიტაძე, მეგრელიშვილი, განუგრავა, კუჭუხიძე (მუმლაძე 87), კორიფაძე, ვოლკოვი (სარდალიშვილი 56), ლოვრეჩიჩი (ჭანკოტაძე 59), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია

**ცხინვალი:** ნადირაძე, გორგიაშვილი, ქოჩლაძე, ქარდავა, ბაჩიაშვილი (ძაგოევი 87), ბეჟვაია, კაკუბავა, მაისაშვილი, ლექვთაძე (ჯიშკარიანი 71), ივანიშვილი, ისიანი (ლობჟანიძე 67)

**გაძევება:** ქარდავა (75)

მე-2 წრეში სულ უფრო და უფრო გვაოცებს საჩხერის ჩიხურა. ზემოიმერლებმა ამჯერად ცხინვალი დაამარცხეს და ევროთასებისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

ცხინვალი კი მე-2 წრეში საკუთარ თავს აღარ ჰგავს და ახლა შეიძლება ითქვას, რომ წელს ევროსაგზურს ვერ მოიპოვებს.

## შუქურა – მერანი 0:0

**ქობულეთი. ჩელე არენა**

**შუქურა:** ჯიოევი, აფაქიძე, ბრაჭული, გეგეჭკორი, დოლიძე (ჭანუყვაძე 90), პუკანიჩი, გეწაძე (კაკალაძე 80), თარხნიშვილი, კომახიძე (ჩაჩუა 80), ე.ლობჟანიძე, ურიდია

**მერანი:** მამალაძე, ციმაკურიძე, მელიავა, გიორგაძე, წყაროზია, კიკნაველიძე, ტეიდი (აშორტია 89), გოგუაძე (ჯღამაია 58), ჩიმაკაძე (უგულავა 71), მ.ჯიქია, საბანაძე

ქულები უფრო მერანს სჭირდებოდა და მარტვილში მხოლოდ 1 წაიღო. თუმცა, ესეც აქტივია, რადგან გურიას მიუახლოვდნენ, ხოლო ზუგდიდს გაექცნენ.

## საპოვნელა – საბურთალო 0:0

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, ჩიკვილაძე, ენდელაძე, ნარიმანიძე, ბოლქვაძე, ქათამაძე, მაკარიძე (მიქაბერიძე 65), ჯიხვაძე (ბუხაიძე 9), დვალი, ტყეშელაშვილი (ბანძელაძე 34)

**საბურთალო:** გოშაძე, თოთაძე, იაშვილი, ცაწკრიალაშვილი, ხარაიშვილი, სოფრომაძე, მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი, გვარაძე (ალთუნაშვილი 64), ფანცულაია (კოხრეიძე 88), გოშთელიანი (ხორხელი 76)

ასევე ქულას დასჯერდა საპოვნელაც, რომელსაც ელიტაში დარჩენა გადაუწყვეტია. თუმცა, ახალგაზრდული საბურთალოს დამარცხება შესაძლებელი იყო, რათა სატურნირო ცხრილში საქმე უფრო გამოესწორებინათ.

## ლოკომოტივი – კოლხეთი 1:0

**თბილისი. მიხეილ მესხი**
**1:0 ჩაგელიშვილი (25)**

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ფოფხაძე, გეთიაშვილი, გაბაძე, ჭანტურია, დიასამიძე (კიკაბიძე 60), უბილავა, ქიქავა, სამურკასოვი, ჩაგელიშვილი (გავაშელიშვილი 90), ცხადაძე (მზევაშვილი 79)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, ჩაკვეტაძე, თუხარელი, გოგონაია, ლემონჯავა, სიჭინავა (პოლულიახი 66), გურეშიძე (ტუღუში 82), გიგაური, ჯიშკარიანი, კვარაცხელია (კაკულია 19), ნიქაბაძე

ლოკომოტივმა ჩაგელიშვილის გოლით მოიგო და ელიტაში დასარჩენად ბრძოლაში დიდი ნაბიჯი გადადგა. ახლა რკინიგზელები 7 ქულით მოსწყდნენ გასავარდნ ზონას და დარჩენილ მატჩებში მეტი შანსი აქვთ.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 23 | 20 | 1 | 2 | 60-20 | 61 |
| 2.სამტრედია | 23 | 16 | 2 | 5 | 54-25 | 50 |
| 3.დილა | 23 | 14 | 5 | 4 | 37-18 | 47 |
| 4.სიონი | 23 | 12 | 7 | 4 | 43-24 | 43 |
| 5.ჩიხურა | 23 | 13 | 4 | 6 | 42-19 | 43 |
| 6.ცხინვალი | 23 | 10 | 8 | 5 | 38-26 | 38 |
| 7.დინამო (ბთ) | 23 | 10 | 6 | 7 | 34-24 | 36 |
| 8.შუქურა | 23 | 8 | 7 | 8 | 23-23 | 31 |
| 9.ტორპედო | 23 | 8 | 6 | 9 | 31-34 | 30 |
| 10.საბურთალო | 23 | 8 | 5 | 10 | 34-50 | 29 |
| 11.კოლხეთი | 23 | 6 | 5 | 12 | 16-26 | 23 |
| 12.ლოკომოტივი | 23 | 5 | 6 | 12 | 22-29 | 21 |
| 13.გურია | 23 | 3 | 8 | 12 | 19-38 | 17 |
| 14.საპოვნელა | 23 | 3 | 5 | 15 | 14-47 | 14 |
| 15.მერანი | 23 | 3 | 5 | 15 | 19-50 | 14 |
| 16.ზუგდიდი | 23 | 2 | 6 | 15 | 19-52 | 12 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**6 აპრილი**
**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**
პსჟ-სიტი ........ 2:2
ვოლფსბურგი-რეალი ........ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**
ირაკლისი-ოლიმპიაკოსი ........ 0:2

**პოლონეთი. თასი**
ზავიშა-ლეგია ........ 1:2

**დანია. თასი**
კოპენჰაგენი-ბრონდბიუ ........ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**
გიოტებორგი-ჰაკენი ........ 1:0
იონჩოპინგი-მალმიო ........ 3:2
ნორჩიოპინგი-კალმარი ........ 4:1

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ფავორიტთა ცუდი დღე

## პსჟ – სიტი 2:2

**0:1 დე ბრუინი (38), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (41), 2:1 რაბიო (59), 2:2 ფერნანდინიო (72)**

**მე-13 წუთზე იბრაჰიმოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)**

პსჟ: **ტრაპი, აურიერი (ვან დერ ვი**ლი 78), სილვა, ლუისი, მაქსველი, ტიაგო მოტა, მატუიდი, რაბიო (ლუკასი 78), დი მარია, კავანი, იბრაჰიმოვიჩი.

**მანჩესტერ სიტი:**ჰარტი, კლიში, ოტამენდი, მანგალა, სანია, ფერნანდო, ფერნანდინიო, ნავასი, სილვა (ბონი 88), დე ბრუინი (დელფი 77), აგუერო (კოლაროვი 93).

ორივე გუნდს მილიარდერი მფლობელი ჰყავს და ცდილობენ ამბიციური გუნდის შექმნას. თუმცა, აქამდე, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი ორივესთვის მიუწვდომელი რჩებოდა. მეტიც, სიტი სულაც პირველად იყო მეოთხედფინალში. ახლა ერთ-ერთი მათგანი ნახევარფინალში აუცილებლად გავა, მაგრამ, რომელი იქნება ეს გუნდი, მანჩესტერში გადაწყდება.

ცხადია, სიტის მეტი შანსი აქვს. მანჩესტერელები არაფერში ჩამორჩებოდნენ მეტოქეს, მაგრამ შესვენებამდე ბავშვური შეცდომები ორივე მხარეს იყო და ეს გოლებშიც აისახა.

ანტრაქტის შემდეგ პსჟ უფრო მობილიზებული ჩანდა და დაწინაურდა კიდეც, თუმცა სიტიმ ისევ არ აპატია შეცდომა ფრანგებს და შინ სასურველი შედეგით დაბრუნდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ფერნანდინიო.

შესანიშნავი მატჩი ჩაატარა სიტელთა ნახევარმცველმა და იაია ტურეს მაგივრობა გუნდს არ დაატყო. რაბიოსა და მის პარტნიორებს თითქმის ყველაფერი მოუგო მოედნის ცენტრში, გაიტანა გოლი და გააკეთა საგოლე პასი.

## ვოლფსბურგი – რეალი 2:0

**1:0 როდრიგესი (18პ), 2:0 არნოლდი (25)**

**ვოლფსბურგი:**ბენალიო, ვიეირინია, დანტე, ნალდო, როდრიგესი, გილავოჯი, ლუის გუსტავო, დრაქსლერი (შაფერი 93), შურლე (კრუზე 85), პინტო (ბრუნო ენრიკე 80), არნოლდი.

**რეალი:** ნავასი, დანილო, პეპე, რამოსი, მარსელო, კასემირო, მოდრიჩი (ისკო 64), კროოსი (ხამეს როდრიგესი



85), ბეილი, რონალდო, ბენზემა (ხესე 41).

კენჭისყრის გამოცხადების შემდეგ მეოთხედფინალში ყველაზე იოლი გზა მადრიდის რეალს უწინასწარმეტყველეს, დღეს კი ყველაზე რთულად სწორედ სამეფო გუნდს აქვს საქმე.

დიტერ ჰეკინგის გუნდი 25-ე წუთისთვის 2 ბურთით იგებდა. ბევრს მაშინაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ რეალი ამ მატჩს არ წააგებდა, მაგრამ...

დანილომ სრულად ჩააგდო თამაში, შემდეგ ტრავმა მიიღო ბენზემამ, მაგრამ ეს არ არის გასასამართლებელი – რეალს ისედაც უმაღლესი დონის ფეხბურთელები ჰყავს. ახლა უკვე საქმე რთულად არის – მადრიდელებმა სანტიაგო ბერნაბეუზე 2-ბურთიანი ჰანდიკაპი უნდა დაძლიონ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – დიეგო ბენალიო.

ვოლფსბურგის მეკარე იყო გმირი მომენტისა, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. ბენზემა მასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბენალიოს ვერ აჯობა, კონტრშეტევაზე კი ვოლფსბურგმა პენალტი გაიტანა და დაწინაურდა. არადა, ბენზემას რომ გაეტანა, არავინ იცის, მატჩი როგორ დასრულდებოდა.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, ავტომრბოლელ ნუგზარ ჯანგველაძეს, რომელიც მიწვეულია ბალტიისპირეთის ქვეყნებში საასპარეზოდ, ესაჭიროება თანხა. გთხოვთ ბიზნესმენებს, კომპანიებს, ქველმოქმედებსა და საქართველოში მცხოვრებ ყველა კეთილ ადამიანს, ვისაც რითი შეგიძლიათ, დაეხმარეთ. ის ასპარეზობს საბჭოთა „ჟიგულის“ მარკის მანქანით და უგებს ძვირადღირებულ მანქანებს. ღმერთმა დაგლოცოთ დახმარებისთვის.
**ანგარიშის №GE13TB7236445063600032**
**თიბისი ბანკი. ნუგზარ ჯანგველაძე.**

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.
მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# უმაღლესი ლიგის გუნდები დასაჯეს




მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის სხდომაზე საფეხბურთო კლუბებს მკაცრი სასჯელები გამოუტანეს.

განსახილველად 3 მატჩის ოქმი იყო გამოტანილი: თბილისის ლოკომოტივსა და თერჯოლის საპოვნელას შორის ჩატარებული მატჩის მეორე ნახევრის მიმდინარეობისას მომხდარი ინციდენტი; ლანჩხუთის გურიასა და ზუგდიდს შორის ჩატარებული მატჩის მიმდინარეობისას მომხდარი ინციდენტი; ბათუმისა და თბილისის დინამოს მატჩის მიმდინარეობისას მომხდარი ინციდენტი.

კომიტეტის წევრები გაეცნნენ წარმოდგენილ მასალებს, მოისმინეს მატჩების დირექტორების, მსაჯებისა და გუნდების წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებები და დაადგინეს:

1. ს.კ თერჯოლის საპოვნელას გულშემატკივრების მხრიდან ადგილი ჰქონდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სკანდირებას. შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 113-ე მუხლის შესაბამისად, საფეხბურთ კლუბ თერჯოლის საპოვნელას სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა 3.000 ლარის ოდენობით.

2. ს.კ. ლანჩხუთის გურიის გულშემატკივრების მხრიდან ადგილი ჰქონდა არამართლზომიერ ქმედებებს. შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოდექსის 55-ე და 118-ე მუხლებზე დაყრდნობით, საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის გურიას სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა 2.000 ლარის ოდენობით.

3. ს.კ. დინამო თბილისის გულშემატკივართა მხრიდან ადგილი ჰქონდა პიროტექნიკური ნაკეთობების სროლას, ქონების დაზიანებასა და მატჩის მსვლელობისას წარმოქმნილ უწესრიგობას. შესაბამისად, 2016 წლის 2 აპრილს ქალაქ ქობულეთის სტადიონზე ჩატარებული მატჩის ერთ-ერთ მხარეს, ს.კ. დინამო თბილისს, 115-ე მე-2 ქვეპუნქტისა და 116-ე მუხლის საფუძველზე, განესაზღვროს ჯარიმა 4.500 ლარის ოდენობით.

4. ს.კ ბათუმის დინამომ ვერ უზრუნველყო სტადიონზე უსაფრთხოების ნორმების დაცვა და, შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 55-ე მუხლის საფუძველზე განესაზღვროს ჯარიმა 3.500 ლარის ოდენობით.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**კალეიდოსკოპი**

# პანდის ბელმა სელფი ზედამხედველთან ერთად გადაიღო



ჩინეთში დიდი პანდის ბელმა სელფი თავის საყვარელ ზედამხედველთან ერთად გადაიღო. მომხდარის ჩანაწერი სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა გამოცემებში გავრცელდა.

ამის ამსახველი ვიდეო დუცზიანიანის კვლევით ცენტრში იქნა გადაღებული. ბამბუკის დათვის ბელი მანიუიევეია და მისი „მამობილი“ ერთ-ერთი გადაღების დროს დააფიქსირეს. პანდა და მისი ზედამხედველი ერთმანეთს ეხვეოდნენ, თამაშობდნენ და პერიოდულად სელფის იღებდნენ.

— პანდებიც კი გაიტაცა სელფის გადაღებამ, — დაწერა ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ.

# ჰერმაფროდიტ კატას ოპერაციას გაუკეთებენ

დიდ ბრიტანეთში ფულს აგროვებენ იმისთვის, რათა ჰერმაფროდიტ კატას ოპერაცია გაუკეთდეს, რომლის შემდეგაც ის ან არტურო გახდება, ან მარტა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს. ამ პროცედურისთვის ათასი ფუნტი სტერლინგია საჭირო.

ამჟამად კატისებრთა ამ წარმომადგენელს



ანგელი ჰქვია. მას ესაჭიროება ოპერაცია, ვინაიდან ჰერმაფროდიტ კატებს ჯანმრთელობის პრობლემები ემუქრება.

ანგელისთვის თანხის შეგროვებით საქველმოქმედო ორგანიზაცია „კატების მეგობრებია“ დაკავებული. ორგანიზაციის დამფუძნებელმა ენდი რიჩარდსმა განაცხადა, რომ ადრე მსგავსი რამ არასოდეს უნახავს.

რიჩარდსის თქმით, საჭირო იქნება სისხლის ანალიზი, რათა დადგინდეს, რომელი გენები ჭარბობს ანგელის ორგანიზმში, მამრის თუ მდედრის. აქედან გამომდინარე იქნება გაკეთებული არჩევანი, თუ რომელი სქესის გახდება ოპერაციის შემდეგ კატა.

საქველმოქმედო ორგანიზაციაში იმედი აქვთ, რომ ოპერაციის შემდეგ ანგელისთვის ახალი ოჯახიც გამოიძებნება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს**

**პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს**

**პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს**

**საქართველოს საზოგადოებას**

საარჩევნო სისტემის შეცვლის შესახებ წარმოდგენილ კანონპროექტს რეკომენდაცია მისცეს სამეცნიერო დაწესებულებებმა, სამინისტროებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა, ცესკომ და ასე შემდეგ, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ექსპრეს ბიულეტენი 56-ში

facebook: leri_qartuli siaxleebi Chachibaia.

E-mail: leri_chachibaia@mail.ru

(მობილური: 558 66 03 51; 555 47 33 36).

გთხოვთ, დამატებით გამოთქვათ თქვენი დამოკიდებულება საკითხის რეალიზაციის მიმართ.

პატივისცემით,

აკადემიკოსი ლ. ჩაჩიბაია

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**

**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1. ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. პატარა, მსუბუქი, შეუმჩნეველი.
5. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**

**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ

ხმაურის დაბალი დონე;

საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;

ხუთი საკრეჭი თავი

მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop

დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.

მის: ვაჟა-ფშაველას №79.

579 885 996

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 8 აპრილისთვის



**ვერძი** — დღეს მთელ დროს პირადი პრობლემების მოგვარებას მოანდომებთ. მოსალოდნელი ცვლილებები სასიკეთო იქნება. ბედს მიენდეთ. **კურო** — ნებისმიერ სიტუაციაში სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინეთ. ინტუიციას ნუ მიენდობით. **ტყუპები** — კეთილისმყოფელი დღეა. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. აქტიურად დაისვენეთ ახლობლების გარემოცვაში. **კირჩხიბი** — გელით რომანტიკული შეხვედრა. ნებისმიერი აქტივობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. წარმატება თავბრუს ნუ დაგახვევთ. **ლომი** — თქვენი ცნობისმოყვარეობა და სიახლისადმი ინტერესი გარშემომყოფებმა შესაძლოა უტაქტობად აღიქვან. უსიამოვნო ინფორმაცია ხასიათს გაგიფუჭებთ. **ქალწული** — დაისვენეთ აქტიურად. მოულოდნელი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. გულის კარნახით იმოქმედეთ. **სასწორი** — გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. კარგი იქნება, თუ გახვალთ ქალაქგარეთ, წაიმუშავებთ ბაღში ან ბოსტანში. **ღრიანკალი** — შემოქმედებითად დატვირთული დღეა. მოქმედებები და გრძნობები დაბალანსებული გაქვთ. ოცნება მალე აგიხდებათ. **მშვილდოსანი** — წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ დღეს წინასწარვე დაგეგმავთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ემოციები მოთოკეთ. ფანტაზიას ფართო გასაქანს ნუ მისცემთ. **თხის რქა** — ნურაფერს დაგეგმავთ. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი პერიოდია. ფინანსური პრობლემები ვალის გარეშე, საკუთარი ძალებით მოაგვარეთ. **მერწყული** — რჩევისათვის მიმართეთ ადამიანს, რომელიც გმფარველობთ. ბედს თამამად მიენდეთ. მოინახულეთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები. მალე სასიკეთო ცვლილებები გელით. **თევზები** — ემოციები აკონტროლეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა ჰარმონიულია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 7. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. თანდაყოლილი, ფერადი გამონაზარდი კანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 13. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 16. ნიადაგის ზედა, ნოყიერი ფენა; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 19. თავის კანი თმიანად; 21. სუბტროპიკული ხილი; 22. რაიმეს მიმდინარეობის სისწრაფე.

**თარაზულად**: 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მინერალი; 8. წითელი ფერის ფრანგი სადესერტო ღვინო; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისაა და ეპიდომოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. მოკლე კინო-სარეკლამო რგოლი; 15. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 20. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ს დაზვერვის ცენტრი; 22. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 23. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 25. თევზის ძვალი; 26. მწვერვალი კავკასიონზე; 25. უბანი თბილისში; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 2. იმერეთი; 3. ევოლუცია; 4. ასტეროიდი; 5. ჰეკლა; 6. იამოტო; 8. უჯარმა; 11. სტილეტი; 14. ტრუსკავეცი; 15. ფერიჰედი; 16. ფერეიდანი; 17. როდოსი; 19. ფრეგატი; 21. დირსი; 22. პუარო.

**თარაზულად:** 1. ჩინეჩიტა; 5. ჰასი; 7. ჭყურტი; 9. აერონავტიკა; 10. მუსკატი; 12. ატრიუმი; 13. პრისტლი; 16. ფიტარეთი; 17. რიცი; 18. ოფურო; 20. ალკატელი; 22. პიეტა; 23. ოგინსკი; 24. აირანი; 25. სუეცი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შაჰი; 2. ისე; 3. კარაკასი; 4. პა; 5. შიკოლონე; 6. აკრი; 7. ბიუჯეტი; 10. კოლო; 11. ფიუმიჩინო; 12. ტარტიუფი; 13. თული; 16. ელეგია; 18. მიტარბი; 19. ტრიუკი; 21. ბრუტო; 24. სეიკო.

**თარაზულად:** 1. შნიცელი; 3. კანაპე; 8. ბისკაი; 9. ჰუკი; 14. ელესა; 15. ბუგელი; 17. რადა; 20. სტილბი; 22. ნაიკი; 23. რეიმსი; 25. მზე; 26. გორი; 24. ბარი; 28. იმუნიტეტი.

# განცხადებები

## იყიდება

● იყიდება სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) ახალი სრული კომპლექტით, გარანტიით. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ცნობილი სექსოლოგი
გიორგი გოგბაიძე
სრულად განკურნავს
პროსტატიტსა და
სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

# ანიტა რაჭველიშვილი და ნინო სურგულაძე საუკეთესო მეცოსოპრანოს ნომინაციაზე წარადგინეს



ორი ქართველი მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი და ნინო სურგულაძე საუკეთესო მეცოსოპრანოს ნომინაციაზე წარადგინეს. მსოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლები კოლეგებთან ერთად გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

იტალიის საელჩოს ინფორმაციით, პრესტიჟულმა იტალიურმა გამოცემამ წლევანდელ გამოცემაში შეიყვანა მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერლები, რომელთა შორის ორი ქართველი მეცოსოპრანო მოხვდა.

ნინო სურგულაძე ამ ნომინაციაზე წარდგენილია „ნაბუქოში“ შესრულებული პარტიით, ანიტა რაჭველიშვილი კი – „აიდაში“ შესრულებული პარტიით. ორივე პარტია ქართველებმა არენა დი ვერონაზე გამართულ 90-ე საოპერო ფესტივალზე შეასრულეს. ქართველი მეცოსოპრანოებისთვის ხმის მიცემა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

გამოკითხვა 10 აპრილამდე გაგრძელდება და გამოავლენს საუკეთესო ხელოვანებს ოპერისა და კლასიკური ბალეტის სფეროში.



# საქართველოში მსოფლიო ვარსკვლავები იმღერებენ

მარონ 5, ხოსე კარესასი, რობი უილიამსი და ეროსი რამაზოტი საქართველოს ესტუმრებიან. ქვეყნის ხელისუფლებამ დაიწყო ახალი გრანდიოზული პროექტი, რომელსაც „ჩექ ინ ჯორჯია“ – საქართველო მსოფლიო კალენდარზე ეწოდება.

საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით 2016 წლის აპრილიდან მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყება. მასშტაბური კულტურული ღონისძიებების სერია თბილისსა და ქვეყნის რეგიონებს მოიცავს. პროექტი ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და პროგრამა ყოველწლიურად კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება. მას ორგანიზებას კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი გაუწევს.




– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები არ არის კონცენტრირებული მხოლოდ დედაქალაქში და გაფანტულია 19-ზე მეტ ქალაქში მთელი ქვეყნის მასშტაბით. აგრეთვე მნიშვნელოვანია ასეთი კატეგორიის შემსრულებლების ჩამოსვლა საქართველოში. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა ინფრასტრუქტურულად თუ ადამიანური რესურსის თვალსაზრისით მზად არის ასეთი ვარსკვლავების მისაღებად.

ბუნებრივია, რომ ამ პროექტში ძალიან აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ქართველი შემსრულებლები. მთლიანობაში, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, მისი ძალიან პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებას მსოფლიო არენაზე და, შესაბამისად, შიდა და გარე ტურისტული ნაკადების ზრდას.

პროექტის განხორციელების მიზანია წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცენტრად ქცევა და დიდი რაოდენობით ტურისტების მოზიდვა, ამ გზით ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობა, შედეგად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და როგორც თბილისში, ისე რეგიონებში ჩვენი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. წელს მასშტაბური კულტურული ღონისძიებები აპრილში დაიწყება და წლის ბოლომდე გაგრძელდება, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

მსოფლიო ვარსკვლავებიდან საქართველოს პირველი ეროს რამაზოტი ეწვევა. ის 27 აპრილს სპორტის სასახლეში გამართავს კონცერტს, 27 მაისს თბილისში, დინამო არენაზე იმღერებს რობი უილიამსი, 7 ივნისს ბათუმში ჯგუფი „მარონ 5“ ჩავა, 18 ივნისს კი ქუთაისს ხოსე კარერასი ესტუმრება.

# გარდაიცვალა პორნოვარსკვლავი, რომელმაც კოლეგა გაუპატიურებაში დაადანაშაულა



აშშ-ში 31 წლის პორნომსახიობი ემბერ რეინი, რომელმაც თავისი კოლეგა ჯეიმს დინი გაუპატიურებაში დაადანაშაულა, გარდაცვლილი ნახეს. მისი ცხედარი ლოს-ანჯელესში მისსავე სახლში იპოვეს.

საქმის მთავარი გამომძიებლის ასისტენტმა ედ ვინტერმა განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, რეინი გარდაცვალების მომენტში მარტო იმყოფებოდა. მისი ვარაუდით, მომხდარის მიზეზი შესაძლოა გამხდარიყო უბედური შემთხვევა ან ნარკოტიკების გადამეტებული დოზა.

– ახლობლებმა იცოდნენ, რომ მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ჯერ არ გვეცოდინება გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი, სანამ გაკვეთის პასუხებს არ მივიღებთ, – განაცხადა პორნოფილმების მსახიობმა და რეჟისორმა შტორმი დენიელსმა, რომელიც რეინს გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე ესაუბრა. მისი თქმით, ტელეფონში რეინის ხმა ნორმალურად ისმოდა და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

დენიელსი ასევე მიიჩნევს, რომ რეინის გარდაცვალებასთან დინთან სკანდალს არაფერი აქვს საერთო.

# ტელეწამყვანმა ტრამპს შეტყობინება შიშველი სხეულით გაუგზავნა

ამერიკელმა მსახიობმა და ტელეწამყვანმა ჩელსი ჰენდლერმა პოლიტიკოს დონალდ ტრამპს ფოტოშეტყობინება გაუგზავნა, მისი მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები საკუთარ სხეულზე დაიწერა. ფოტოსურათი, რომელზეც 41 წლის ქალბატონი შიშველია აღბეჭდილი, ინსტაგრამში მის აკაუნტში იქნა განთავსებული.

სურათზე, რომელიც ჰენდლერმა გამოაქვეყნა, ტელეწამყვანი, შავ სტრინგებში გამოწყობილი, კამერისკენ ზურგით მდგომია აღბეჭდილი, ზურგი და დუნდულები კი მოშიშვლებული აქვს, რომლებზეც გაკეთებულია წარწერა – „ტრამპი – ხვრელი უკანალში“.

– ზოგჯერ წყლის ზედაპირზე დავცურავთ, ზოგჯერ კი – ფსკერზე. უეჭველად შეგხვდები, სადაც არ უნდა იმყოფებოდე, – მიაწერა საკუთარ ფოტოსურათს ჰენდლერმა, რომელსაც სოციალურ ქსელში 2,2 მილიონი თაყვანისმცემელი ჰყავს.

მსგავსი სურათი ასევე გამოქვეყნდა ტვიტერში, ჰენდლერის აკაუნტში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.



ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.
შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

# სამორი ბალდე საქართველოდან წავიდა



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ პირველი სეზონის გამარჯვებული სამორი ბალდე საქართველოდან წავიდა. ის და მისი მეუღლე სოფო ბარნოვი საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდნენ.

სამორი ბალდეს ნანკა კალატოზიშვილთან ერთად მიჰყავდა გადაცემა „მუსიკალური ლიგა“, იყო ტელეკომპანია „იმედის“ სახე და დილის გადაცემის წამყვანადაც მუშაობდა, წერდა მუსიკას, ცეკვავდა და მონაწილეობდა სხვადასხვა გადაცემაში.

სამორიმ და სოფომ საქართველოდან წასვლის გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღეს. სოფო მინანქარზე მუშაობს, სამორი კი ამერიკაში ერთ-ერთ სტუდიაში მუშაობს და წერს მუსიკას.

როდის დაბრუნდება წყვილი საქართველოში, ჯერჯერობით უცნობია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# პროგრამა

## პარასკევი 8 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ადამიანი კამერით" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "წიგნების თარო" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" 21.30 სოციალური თოქ-შოუ 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ჰალკი**" (ნ.ნოლტი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "გიიკების რევანში" 14.00 დ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი" 16.00 დ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 5 სერ. 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ. "**შეუსრულებელი მისია 3**" (ტ.კრუზი) 01.50 მხ/ფ. "**ქაოსი**" (ე.ანდერსონი) 03.45 მხ/ფ. "**ფრანკლინის ბინა**" (დ.ლინდგრენი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 10 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) 9.30, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 10.30 სერ. "**კარგი ცოლი**", სეზონი 1, სერია 04 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ძვლები**" 15.30 Discovery- მენტალისტი კით ბარი 16.30 საუკეთესო ხელნაკეთი 20.30 20.30 22.30 ბინა 18 23.30 მხ/ფ "**მაშველი**" 2.00 ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი 3.00 URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 საქართველოს ქალაქები "ბორჯომი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 10.50 დ/ფ "ყუმისთავი" 11.30 ღვთის სახლი 12.10 პორტრეტები 13.15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ნოლინა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ ან/ფ 15.30 IV კვირის სამოციქულო საკითხის განმარტება 15.50 ყველაზე, ყველაზე..."დიდებული საგანძურები" 16.30 დ/ფ "სვანეთი ცოცხალი მითი" 17.10 წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 17.30 მიწათმოქმედი "მწვანე საფარი" 17.45 ქვიშანი დარჩებიან 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 19.50 წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა "ხელმარჯვე ოსტატი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "წალენჯიხის რაიონი-ლაკადა" I ფ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 IV შაბათის სახარების განმარტება-დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი 00.35 სათავეებთან "სულხან-საბა ორბელიანი" 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.30 სერ. "**უშენოდ ვერ ვსუნთქავ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 3.00 სერ. "**ცოდვილი სისხლი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3052 |
| ევრო | 2.6157 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2478 |
| 100 რუსული რუბლი | 3.357 |

## ამინდის პროგნოზი 8 აპრილისთვის




# 5 აპრილიდან




## პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

წიგნში შესულია საქართველოს მთავარი პროკურატურის არქივში არსებული ცხრა ტომიდან ამოკრებილი მასალები (1994-2004 წწ.), რომლებიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტს ეხება, ასევე დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ჩატარებული მოსმენა-გამოკითხვები.

გამოკითხვაში ნებაყოფლობით მიიღეს მონაწილეობა როგორც პრეზიდენტის დაცვის წევრებმა, ასევე მაშინდელმა თანამდებობის პირებმა, რომელთა გარემოცვაშიც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა.

წიგნს ერთვის საინტერესო ფოტომასალა, პირთა და გეოგრაფიული საძიებელი.

# 7 აპრილიდან

ლაშა თაბუკაშვილი

## ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!

**„ახალ თაობასთან“ ერთად**

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**




„ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!“ ლაშა თაბუკაშვილის პირველი რომანია.

წიგნში მოთხრობილია იშხნელთა გვარის ორი წარმომადგენლის ისტორია. ერთი ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შვილია, რომელიც რთული ცხოვრების შემდეგ წარმატებული ბიზნესმენი ხდება.

მეორეა საქართველოში მცხოვრები, გამომცემელი ბექა იშხნელი. იგი ამერიკელი ქართველის შორეული ნათესავია. ისინი ნაწარმოების დასაწყისშივე ხვდებიან ერთმანეთს...

## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

# 8 აპრილიდან

## იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**




## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

# წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით



















- 25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
- 1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
- 8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
- 15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
- 22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
- 29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

# ნეიმარს პოგბასთან ერთად თამაში სურს



ბარსელონის ბრაზილიელმა ფორვარდმა ნეიმარმა განაცხადა, რომ პოლ პოგბასთან ერთად თამაში მისთვის ძალიან სასიამოვნო იქნება.

ნეიმარის თქმით, პოგბა ისეთი მოთამაშეა, რომელიც ზუსტად მოერგება ბარსელონის სტილს და კატალონიურ გუნდს ბევრ სარგებლობას მოუტანს. მიუხედავად ამისა, ნეიმარის აზრით, მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი ფეხბურთელის ყიდვაა საჭირო.

შარშან ზაფხულში საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ პოგბა იუვენტუსს დატოვებდა და სათამაშოდ სხვა გუნდში გადავიდოდა, მაგრამ ეს ჭორები არ გამართლდა და პოგბა კვლავინდებურად იტალიის საუკეთესო გუნდში თამაშობს.

# დიტერ ჰეკინგმა მარსელო გააკრიტიკა





გერმანულმა ვოლფსბურგმა მთელი ევროპა გააოცა, როდესაც საკუთარ მოედანზე მადრიდის რეალი 2:0 დაამარცხა.

მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში რეალის ბრაზილიელმა მცველმა მარსელომ ვოლფსბურგის ფეხბურთელ არნოლდთან შეჯახების დროს მსაჯს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არნოლდმა მას სახეში თავი ჩაარტყა, სინამდვილეში არნოლდი მარსელოს არც კი შეხებია, რაც გამეორებებმა კარგად აჩვენა.

ვოლფსბურგის მთავარმა მწვრთნელმა დიტერ ჰეკინგმა მარსელო გააკრიტიკა და მას მსახიობი უწოდა. ჰეკინგის თქმით, მსგავსი რამ მოედანზე არ უნდა ხდებოდეს.

# თეო უოლკოტი არსენალიდან მიდის



თეო უოლკოტი ბოლო პერიოდში იშვიათად ხვდება არსენალის ძირითად შემადგენლობაში და ნათელია, რომ არსენ ვენგერი მასზე აქცენტს არ აკეთებს. ამის გამო უოლკოტმა ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგა ადგილი და როი ჰოჯსონი მას ისე აღარ ენდობა, როგორც ადრე.

თუ არაფერი შეიცვალა, თეო არსენალიდან წავა და კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებს.

უოლკოტს ბევრი მსურველი ჰყავს ინგლისში და, არსენალის დატოვების შემთხვევაში, ის უგუნდოდ ნამდვილად არ დარჩება. აღსანიშნავია, რომ უოლკოტი არსენალის აკადემიის აღზრდილია და სხვა გუნდში მას არასოდეს უთამაშია. არსენალში ის თითქმის 10 წელია ასპარეზობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— გავიგე, ყველაზე მყარი ოჯახები ინდოეთში ყოფილა და რატომ?

— იმიტომ, რომ ქორწილის დღეს ქმარს თოფს ჩუქნიან, ხოლო ცოლს შუბლზე წითელ წერტილს ახატავენ.

●●●

ახლახან ზოგიერთ ქორწინების სახლში დამატებითი თანხის საფასურად დამატებითი მომსახურება შემოიღეს. საქმროს საბოლოო პასუხამდე უკითხავენ:

„თქვენ გაქვთ დუმილის უფლება, თქვენ მიერ ნათქვამი ნებისმიერი სიტყვა შეიძლება თქვენ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული...“

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— იცი, ძვირფასო, ჩვენი რძალი ქმარს ღალატობს.

— ეს მისი პრობლემაა, — აუღელვებლად პასუხობს ქმარი.

— ჰო, მაგრამ ის ხომ ჩვენს შვილს ღალატობს!

— ეს მისი პრობლემაა.

— მაგრამ ის მას შენთან ღალატობს!

— ეს ჩემი პრობლემაა.

— კი მაგრამ, მე რა ვქნა?

— ეგ შენი პრობლემაა.

●●●

მამა შვილს ზოოპარკში ასეირნებს. უცბად ბავშვი ეუბნება:

— მამა, ნახე, მელირებული ცხენი.

— მელირებული ცხენი დედაშენია, ეს კი ზებრაა...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი

**შვეულად:** 2. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. ტბა ბოლივია-პერუს საზღვარზე; 4. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 5. საცხოვრებელი სახლის ზედა სართული თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში; 6. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 11. სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 14. სწავლა-განათლების, მეცნიერების მტერი; 15. სასტუმრო გაგრაში; 16. ცხენოსანი ჯარის, კავალერიის ქვედანაყოფი; 17. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 19. მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 21. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 22. იაპონური აბანო.

**თარაზულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 5. აღდგომის მისალოცი ქართული ხალხური სიმღერა; 7. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. ნიადაგის გასაფხვიერებელი სასოფლო-სამეურნეო აგრეგატი; 10. რაიონული ცენტრი სვანეთში; 12. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნიანი ვაზის ჯიში; 13. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 16. ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა; 17. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. თვითმფრინავის, გემის საჭე; 22. მდინარე გურიაში; 23. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 24. ხუმარა, ენამოსწრებული ადამიანი; 25. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი